	მქონე მაგისტრანტი ფინანსდება არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით (ერთი სასწავლო წლის განმავლობაში); 3. დოქტორანტების დაფინანსება ხორციელდება დოქტორანტების აკადემიური მოსწრების შესაბამისად 85-დან 100 ქულამდე შეფასების მქონე დოქტორანტი დაფინანსდეს არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით (ერთი სასწავლო წლის განმავლობაში). 4. რეზიდენტურის საფეხურის სტუდენტები დაფინანსდებია კურსის პირველი სემესტრიდან არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით. 5. მგზავრობის დაფინანსებით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ: 5.1 სტუდენტები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს, არაუმეტეს სტუდენტებისთვის განსაზღვრული დაფინანსებული თანხის ოდენობისა; 5.2 სტუდენტები, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; 5.3 სტუდენტები, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვთ სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა და მათი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია (100 ქულიანი შეფასების სისტემიდან); 5.4 სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პრიორიტეტულ უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე და მათი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია (100 ქულიანი შეფასების სისტემიდან); 5.5 სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 24 წლის ჩათვლით პირები (რომლებიც სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფებოდნენ არანაკლებ 2 წელი). გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონდე პირზე, რომელსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდება - ქალაქ რუსთავი. დახმარება/წახალისება მოიცავს თვეში ერთხელ 60 ლარის ოდენობას.
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი	სოციალურად მხარდაჭერილი, მოტივირებული სტუდენტები. მეტი განათლებული და წარმატებული ახალგაზრდა ქალაქს

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		განვითარება
პროგ. კოდი **04 09**	**პროგრამის დასახელება**	ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი		ა(აიპ) ,,ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი"
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისა და მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირების განათლების მიღების ხელშეწყობა და მოტივაციის გაძლიერება, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოებული კურსდამთავრებულების წახალისება, აგრეთვე ახალგაზრდების მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართვის, მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამის ფარგლებში. 1. პროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ: 1.1 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ან მუდმივად მცხოვრები პირები, რომლებიც რეგისტრაციის მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქალაქში; 1.2 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებული მოსწავლეები; 1.3 ის მოსწავლეები, რომლებიც ქალაქ თბილისში იღებდნენ სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს და აკმაყოფილებენ რეგისტრაციის სხვა პირობებს; 1.4 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები და მუდმივი ცხოვრების

	ნებართვის მქონე სრულწლოვანი პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამაში მონაწილეობის პირობებს, გაივლიან შესაბამის შერჩევის ეტაპებს და წარმატებით დაასრულებენ პროგრამით გათვალისწინებულ სამთვიან სასწავლო და პრაქტიკულ კურსს. 2. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ფინანსური წახალისება: 2.1 აკრედიტებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისა და მსმენელებისათვის ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსური წახალისება პროფესიული პროგრამის დასრულებამდე; 2.2 ოქროს მედლით დაჯილდოებული მოსწავლეებისთვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ფინანსური წახალისება, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საშუალო საფეხურის საერთო შეფასება შეადგენს 10 ქულას (დამრგვალების გარეშე) და იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს; 2.3 ვერცხლის მედლით დაჯილდოებული მოსწავლეებისთვის 300 (სამასი) ლარის ოდენობით ფინანსური წახალისება, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საშუალო საფეხურის საერთო შეფასება მერყეობს 9.8-დან 10 ქულამდე; 2.4 „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამის ფარგლებში შერჩეული პირებისთვის ყოველთვიურად დარიცხული თანხა 625(ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით ფინანსური წახალისება, პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პერიოდში, დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. 2.5 „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამის ფარგლებში შერჩეულ პირებს ფინანსური წახალისება მიეცემათ პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პერიოდში, იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის, დასწრების არანაკლებ 80%-იან მაჩვენებელს და მონაწილეობენ გათვალისწინებულ აქტივობებში. 3. განსაზღვრულია შემდეგი გამონაკლისები: 3.1 საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის წყვეტა არ ითვლება დისკვალიფიკაციის საფუძვლად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წყვეტა არ გულისხმობს რეგისტრაციის განხორციელებას ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებს გარეთ; 3.2 იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომელთა რეგისტრირებულ მისამართად, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, ქალაქი რუსთავი ფიქსირდება. 3.3 „მერის ახალგაზრდა წარმომადგენლის“ პროგრამაში მონაწილეობისას, პროგრამით განსაზღვრული ასაკის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირის მიერ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული შერჩევის ეტაპებისა და სასწავლო და პრაქტიკული კურსის წარმატებით გავლენა განისაზღვრება პროგრამაში მონაწილეობისა და ახალგაზრდა წარმომადგენლის სტატუსის მინიჭების პირობების შესაბამისად. 4. განსაზღვრულია შემდეგი განსაკუთრებული პირობები: 4.1 იმ შემთხვევაში, თუ კურსდამთავრებული ვერ ისარგებლებს პროგრამით სკოლის დამამთავრებელი წლის განმავლობაში, მას ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს წახალისებით მომდევნო ერთი კალენდარული წლის განმავლობაში; 4.2 იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე იმ მოსწავლეებს, რომელთა რეგისტრირებულ მისამართად ფიქსირდება ქალაქი რუსთავი, პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა შეუნარჩუნდებათ საცხოვრებელი ადგილის ფორმალური რეგისტრაციის თავისებურებების მიუხედავად;
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი	მოტივირებული და განათლებული ახალგაზრდები და გაზრდილი პროფესიულად გადამზადებული კადრები ქალაქში

3. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	14 257,7	14 257,3	14 257,3	14 257,3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4 976,1	4 975,7	4 975,7	4 975,7
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	551,5	551,1	551,1	551,1
06 01 02	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	1 600,0	1 600,0	1 600,0	1 600,0
06 01 03	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	400,0	400,0	400,0	400,0
06 01 04	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	1 724,6	1 724,6	1 724,6	1 724,6
06 01 05	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	700,0	700,0	700,0	700,0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	9 281,6	9 281,6	9 281,6	9 281,6
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	2 720,6	2 720,6	2 720,6	2 720,6
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	22,9	22,9	22,9	22,9
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	57,0	57,0	57,0	57,0
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	3 127,4	3 127,4	3 127,4	3 127,4
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	65,5	65,5	65,5	65,5
06 02 06	უხუცეს მოქალაქეთა დახმარება	7,0	7,0	7,0	7,0
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	818,3	818,3	818,3	818,3
06 02 08	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	880,0	880,0	880,0	880,0
06 02 09	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	29,0	29,0	29,0	29,0
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	86,4	86,4	86,4	86,4
06 02 12	სოციალური დახმარებების პროგრამა	150,0	150,0	150,0	150,0
06 02 13	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა	46,0	46,0	46,0	46,0
06 02 14	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	96,5	96,5	96,5	96,5
06 02 15	ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა	150,0	150,0	150,0	150,0

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
06 02 16	ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	5,0	5,0	5,0	5,0
06 02 17	შინ მოვლის თანადაფინანსება	45,0	45,0	45,0	45,0
06 02 18	შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურება	386,0	386,0	386,0	386,0
06 02 19	ჩვილ ბავშვთა დახმარების პროგრამა	100,0	100,0	100,0	100,0
06 02 20	პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	489,0	489,0	489,0	489,0

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
06 01 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. სამსახური ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1. ეპიდზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიება. 2. მოსახლეობის ანტირაბიული დახმარების ხელშეწყობის ღონისძიება. 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის და დაავადებათა პრევენციის ღონისძიებების ხელშეწყობა. 4. მალარიის ელიმინაციის ღონისძიება. 5. სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიება. 6. ქალაქ რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის „საშიში“ და შხამიანი ცხოველების (ძირითადად ქვეწარმავლების და მორიელების) ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიება.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		განსაკუთრებით საშიში, მართვადი და სხვა ინფექციური დაავადებების ჯგუფური შემთხვევებისგან მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა;

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება
06 01 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 წლის განმავლობაში (წყვეტის

	შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და ესაჭიროებათ ავთვისებიანი სიმსივნეების (დაავადებების კოდი C00-C97 D00-D09) დიაგნოსტიკა და ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კარდიოქირურგიული, გადაუდებელი კარდიოქირურგიული/გადაუდებელი ანგიოქირურგიული (I70.2; I71; I74) და გეგმიური ქირურგიული სამედიცინო მომსახურება (დაფინანსება განისაზღვრება ბოლო ერთი წლის განმავლობაში საშუალო შემოსავლის მიხედვით დადგენილი ლიმიტების მიხედვით). კომპიუტერული გამოკვლევები (CT და MRT კვლევები)რომელიც შეიძლება დაუფინანსდეს მხოლოდ 0-70 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს წელიწადში არაუმეტეს 600.00 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ასევე: ავასტინის ინტრავიტრეალური ინექცია- ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში არაუმეტეს 900.00 ლარის ოდენობით; ელექტროენცეფალოგრაფია (ეეგ კვლევა) - G40 დიაგნოზის მქონე 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაფინანსდებიან არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო იმავე კატეგორიის ბენეფიციარები, რომლებიც ირიცხებიან სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 150 000 ქულის ჩათვლით - არაუმეტეს 600,00 (ექვსასი) ლარის ოდენობით. M16 კოქსართროზი (მენჯ-ბარძაყის სახსრის ართროზი) და M17 გონართროზი (მუხლის სახსრის ართროზი) დიაგნოზის შემთხვევაში, დაფინანსება განისაზღვროს წელიწადში არაუმეტეს 2 000.00 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. ზოგადი სიმსუქნე (E66) დიაგნოზის შემთხვევაში დაფინანსება განისაზღვროს წელიწადში არაუმეტეს 1 500.00 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. გადაუდებელი კარდიოქირურგიული ოპერაციის და გადაუდებელი ანგიოქირურგიული ოპერაციის (I70.2; I71; I74) შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა უნდა მომართოს მერიას განცხადებით პაციენტის გამოწერამდე ან გამოწერიდან 5 დღის ვადაში. საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, გამონაკლისი ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ბოლო თვის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია სამედიცინო მომსახურება (სრული და ასევე ნაწილობრივი თანადაფინანსება)

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა
პროგ. კოდი **06 01 03**	**ქვეპროგრამის დასახელება**	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 70 000 -ს) მოქალაქეების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების, ომის მონაწილეების, მარტოხელა მშობლის შვილების (18 წლის ასაკის მიღწევამდე პირები სარეიტინგო ქულით 70 001-დან 150 000-ჩათვლით) მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხით დაფინანსება. ასევე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა და მოზარდთა გლუკომეტრის შესაბამისი საანალიზო ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი/მუდმივი ბინადრობის მქონე და რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად, წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ და მიეკუთვნებიან ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კატეგორიას: ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-ს არ აღემატება, დაფინანსდება წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; ბ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დაფინანსდება წლიური ლიმიტით ერთ

	მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; გ) 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; დ) მარტოხელა მშობლის შვილები, წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; ე) ომის მონაწილე (ვეტერანები)-სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მოწოდებული ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზების მიხედვით ირიცხება ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში ვეტერანის სტატუსით. წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 250 ლარის ოდენობით; ვ) დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები, რომლებსაც არ აქვთ შშმპ სტატუსი, წლიური ლიმიტით ერთ მოსარგებლეზე 200 ლარის ოდენობით; ზ) შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის, გათვალისწინებულია ერთი მოსარგებლისათვის წელიწადში არაუმეტეს 4 (ოთხი) კოლოფის ოდენობით გლუკომეტრის ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ბოლო თვის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით. თუ პროგრამით სარგებლობის მსურველი 18 წლამდე ასაკის მქონე პირის ერთ-ერთ მშობელს აქვს 2 წლიანი უწყვეტი რეგისტრაცია (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ), ხოლო პროგრამით სარგებლობის მსურველ პირს უფიქსირდება აქტიური რეგისტრაციის სტატუსი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სამსახური უფლებამოსილია დაფინანსების მიზნით მიმართოს მერის წარმომადგენელს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქალაქის ცხოვრების ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება
06 01 04		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის აუტიზმის მქონე ბავშვების (შემდგომში - ბენეფიციარი) საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შემეცნებითი, თვითმოვლის, მოტორული, სოციალური განვითარების და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0-F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები. ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებების დაფინანსება: ა)ბაზისური მომსახურება (სტანდარტული სეანსების რაოდენობის გათვალისწინებით), რომელიც ითვალისწინებს თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდებას, თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად. თვეში 20 საათის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა რაოდენობამ უნდა შეადგინოს სეანსების საერთო რაოდენობიდან არანაკლებ 12 სეანსი. დარჩენილი 8 სეანსის შემთხვევაში შესაძლებელია მიმწოდებლის მიერ, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად, მოხდეს მოსარგებლისათვის საჭირო სეანსების მიწოდება (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური/სენსორული თერაპია და სხვა) ბ) მშობლის არჩევით ქვეპროგრამით მოსარგებლისთვის სეანსების მიწოდება ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად, როდესაც მშობელს უფლება აქვს თავად აირჩიოს თერაპიების სახე ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით. როცა შეუძლებელია სეანსების ჩატარება ობიექტური გარიემოებების გათვალისწინებით, მათ შორის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ სეანსების რაოდენობა განაწილდეს შემდეგ თვეებზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420.00 ლარისა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ. ქვეპროგრამაში ჩასართველად სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ბოლო თვის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით, ასევე, თუ პროგრამით მოსარგებლე პირის მშობელს აქვს 2 წლიანი უწყვეტი რეგისტრაცია (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ), ხოლო პროგრამით მოსარგებლე პირს უფიქსირდება აქტიური რეგისტრაციის სტატუსი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ქვპროგრამის განმახორციელებელი სამსახური უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს ოჯახის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ აქტის მომზადების უზრუნველსაყოფად. გამონაკლისი ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და უფიქსირდებათ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	მუნიპალიტეტში მცხოვრები ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან სარეაბილიტაციო მომსახურებით

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ჯანმრთელობის დაცვა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება
06 01 05		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე (განცხადების მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების და მოზარდების (შემდგომში ბენეფიციარი) საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შემეცნებითი, თვითმოვლის, კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიას განეკუთვნება-გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლის ან დაუნის სინდრომის ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები - R62-ის შემთხვევაში 0-დან 15 წლამდე ასაკის ბენეფიციარი, რომელიც დაფინანსდება წლიურად არაუმეტეს 2 000,00 (ორი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით (თვეში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს არაუმეტეს 189,00 (ას ოთმოცდაცხრა ლარი და 00 თეთრი) ლარს); ხოლო ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები G80, Q90-ის შემთხვევაში 0-დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარი, რომელიც დაფინანსდება წელიწადში არაუმეტეს 1 000,00 ლარით. ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორი R62-ის შემთხვევაში ბენეფიციარი არ უნდა იყოს ჩართული „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის“ ან „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის“ სახელმწიფო ქვეპროგრამებში, აგრეთვე R62 დიაგნოზის შემთხვევაში სავალდებულოა ფსიქოლოგის ან ნეიროფსიქოლოგის მიერ გაცემული დასკვნა, რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრება გაცემიდან 6 თვე. ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ბოლო თვის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით. ქვეპროგრამის განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბენეფიციართა რეაბილიტაცია

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება
06 02 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს) მოსახლეობის, შშმ პირების და სახელწიფო ზრუნვიდან გასული 18-24 წლის ახალგაზრდების ყოველდღიურად ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ, ქალაქ რუსთავში მცხოვრები და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად, არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და აკმაყოფილებენ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც: ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-სს; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; გ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 24 წლის ჩათვლით პირი, რომელიც სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფებოდა არანაკლებ 2 წელი. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	მუნიციპალიტეტის მასშტაბით უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციართა ერთჯერადი დღიური კვება

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ვეტერანების სარიტუალო მომსახურება
06 02 02 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების მხარდაჭერა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების ანაზღაურებას 300 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია 10 შუამდგომლობის დაკმაყოფილება. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		გარდაცვლილი ვეტერანთა ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სოციალურად დაუცველთა სარიტუალო მომსახურება
06 02 02 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველთა, ასევე იდენტიფიცირებადი და არაიდენტიფიცირებადი ადამიანების სარიტუალო მომსახურების დაფინანსება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში აღმოჩენილი იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი ადამიანების გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას 450,00 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ასევე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს) ოჯახის წევრთა სარიტუალო (დაკრძალვის) მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას 500,00 (ხუთასი) ლარის ოდენობით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	ხელშეწყობილია პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების სარიტუალო მომსახურება

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი **06 02 03**	**ქვეპროგრამის დასახელება**	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია, ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის წყლის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის ხელშეწყობა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირი/ები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 57 000-ს არ აღემატება. სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიასთან ანგარიშსწორება ხორციელდება: ა) გაუმრიცხველიანებელი აბონენტებისთვის – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სასმელი წყლის ზღვრული ტარიფის საფუძველზე, სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიის მიერ მოწოდებული ტარიფის შესაბამისად სულზე არაუმეტეს სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიის მიერ მოწოდებული ტარიფებისა. ბ) გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის სულზე არაუმეტეს 3.75 (სამი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ოდენობით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები სასმელი წყლის გადასახადის სრული/ ნაწილობრივ დაფარვა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სოციალურად დაუცველ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე
06 02 04 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის მასშტაბით სოციალურად დაუცველი პირების შეღავათიანი ტარიფით გადაადგილების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული, ასევე მუდმივი ბინადრობის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების (150 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით), მრავალშვილიანი მშობლების (4 და მეტი შვილით) და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების შიდა საქალაქო ტრანპორტით უზრუნველყოფას (50 თეთრის ნაცვლად მგზავრობისას იხდიან 10 თეთრს). გამონაკლისს წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		აღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფილია ბენეფიციარების შიდა საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილება შეღავათიანი ტარიფით

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ვეტერანთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე
06 02 04 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის მასშტაბით ვეტერანების უფასო გადაადგილების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული ან მუდმივი ბინადრობის მქონე ვეტერანების მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილებით უზრუნველყოფას (უფასო მგზავრობა), რომელთაც შესაბამისი უწყების მიერ მიღებული აქვთ ვეტერანის მოწმობა (სტატუსი) და ფიქსირდებიან სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" მიერ მოწოდებულ რუსთავის ვეტერანთა სიაში. გამონაკლისს წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		უზრუნველყოფილია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ეკონომიკური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე
06 02 04 03		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღავათიანი ტარიფით გადაადგილების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგების, ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებისა და მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკების; ასევე იმ პედაგოგების შიდა საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფას, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. ასევე: ა(ა)იპ " ქალაქ რუსთავის სპორტის განვითარების ცენტრი" ა(ა)იპ "ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების ცენტრი" ა(ა)იპ "კულტურული პროექტების მართვის ცენტრი" ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“, ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა“-ს, ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“-ს ა(ა)იპ „რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული მუნიციპალური დრამატული თეატრი“-ს, ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო-განმავითარებელი ცენტრი კესანე“-ს, ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრის“, ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"-ს, ა(ა)იპ ,, რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი"-ს თანამშრომლების. ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეების, შიდა საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფას. ზემოაღნიშნული პირები 50 თეთრის ნაცვლად მგზავრობისას იხდიან 20 თეთრს. გამონაკლისს წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	უზრუნველყოფილია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ეკონომიკური ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	შშმ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე
06 02 04 04		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამა ითვალისწინებს I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული ან მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეების უფასოდ საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილებას, ხოლო III ჯგუფი უზრუნველყოფილია ნაწილობრივ (50 თეთრის ნაცვლად მგზავრობისას იხდიან 10 თეთრს), შშმ პირები M3 კატეგორიის ავტობუსით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ისარგებლებენ უფასო მგზავრობით. გამონაკლისს წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი. ასევე, საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ იმგზავრებენ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების პირის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და აუტიზმის სპექტრის დარღვევის (F84.0 – F84.9) მქონე ბავშვთა მშობლები (დედა ან მამა).
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		უზრუნველყოფილია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ეკონომიკური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სტუდენტთა და სახელმწიფო ზრუნვიდან გასული პირების შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე
06 02 04 05		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ხელშეწყობა. ქვეპროგრამით მოსარგებლე სტუდენტები მუნიციპალური შიდა საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობისას 50 თეთრის ნაცვლად იხდიან 20 თეთრს, ხოლო, M3 კატეგორიის ავტობუსით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მგზავრობისას უწესდებათ შეღავათი 1.00 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან ასევე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან - 30 წლის ჩათვლით პირები, რომელთაც სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში გაატარეს არანაკლებ 2 წელი, აღნიშნული პირები უფასოდ იმგზავრებენ შიდა საქალაქო ტრანსპორტით და M3 კატეგორიის ავტობუსით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე. გამონაკლისს წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		უზრუნველყოფილია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების განათლების ხელშეწყობა და სოციალური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სკოლის მოსწავლეთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე
06 02 04 06		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ხელშეწყობა (50 თეთრის ნაცვლად მგზავრობისას იხდიან 10 თეთრს).
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		უზრუნველყოფილია სკოლის მოსწავლეთა ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	პენსიონერთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე
06 02 04 07		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული, ასევე მუდმივი ბინადრობის მქონე პენსიონერებისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების მქონე მოქალაქეების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ხელშეწყობა (50 თეთრის ნაცვლად მგზავრობისას იხდიან 20 თეთრს). გამონაკლისს წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		უზრუნველყოფილია პროგრამის ბენეფიციართა ეკონომიკური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ომის ვეტერანთა კომუნალური მომსახურების დაფარვა
06 02 05 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ომის ვეტერანთა ოჯახების სოციალური ხელშეწყობა, კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია) სრული/ნაწილობრივი დაფარვა ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე ოჯახების დახმარებას, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). შეღავათით მოსარგებლე ოჯახებს წარმოადგენენ: ა)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ ჯარისკაცთა ოჯახები; ბ)2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების; გ)2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისას დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები; დ)საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ელ-ენერგია, ბუნებრივი აირი) დაფარვა წლიურად არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში ომის ვეტერანთა ოჯახების კომუნალური გადასახადების სრული/ნაწილობრივი დაფარა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	დროებითი საცხოვრისით მოსარგებლე ოჯახებისთვის ელექტროენერგიის მომსახურების დაფარვა
06 02 05 04		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მე-11 მკ/რ-ის დროებითი საცხოვრისით მოსარგებლე ოჯახებისთვის ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათის დაწესება. აღნიშნული ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ მე-11 მკ/რ-ის დროებით საცხოვრისით მოსარგებლე ოჯახები (54 ოჯახი). ქვეპროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500,00 (ხუთასი ლარი) ლარის ოდენობით, რომლის გახარჯვის შესაძლებლობა ექნებათ მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში. ამ პუნქტით განსაზღვრული ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში გადაჭარბებულ თანხას აანაზღაურებენ თავად ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახები.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ხელშეწყობილია პროგრამით მოსარგებლე ოჯახების ელექტრო ენერგიის სრული/ნაწილობრივი დაფარვა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა
06 02 05 05		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების სოციალური ხელშეწყობა, კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია) სრული/ნაწილობრივი დაფარვა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/ მუდმივი ბინადრობის მქონე რეინტეგრირებული ბავშვების (1-დან 18 წლამდე) ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). ბავშვისთვის მოითხოვება მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია 14 ოჯახის დახმარება. პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500,00 (ხუთასი ლარი) ლარის ოდენობით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახებისთვის კომუნალურ გადასახადების სრული/ნაწილობრივი დაფარვა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	უხუცეს მოქალაქეთა დახმარება
06 02 06		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია უხუცესი მოქალაქეების მხარდაჭერა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესი მოქალაქეების დახმარებას წელიწადში 1 000.00 (ათასი) ლარის ოდენობით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ხანდაზმულები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი მატერიალური დახმარებით

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა
06 02 07		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ "რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ან მზრუნველობის გარეშე დარჩენილი მარტოხელა ხანდაზმული ადამიანების სოციალური, ფიზიკური და ფსიქოემოციური მხარდაჭერა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მარტოხელა, სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან/და მზრუნველის გარეშე დარჩენილი მოხუცებისთვის 24 საათიანი მომსახურება, თავშესაფრის მიცემა და მათი მოვლა პატრონობა (3-ჯერადი კვება, სანიტარულ/ ჰიგიენური და სამედიცინო მომსახურება).
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ღირსეული, აქტიური და უსაფრთხო ცხოვრებისათვის შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფილი ხანდაზმულები.

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება
06 02 08		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა)ქალაქ რუსთავში მცხოვრები იმ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და ჰყავთ 4 და მეტი შვილი. პროგრამით დადგენილი არანაკლებ 1 წლიანი რეგისტრაცია (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში) მოეთხოვება მშობელს (განმცხადებელს), ხოლო პროგრამის ბენეფიციარებს (მათ შვილებს) მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. ასევე, ქვეპროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ იმ მრავლშვილიან ოჯახს, რომელსაც აქვს რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში აქტიური რეგისტრაციის სტატუსი და რუსთავის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ დასტურდება ბოლო 1 წლის განმავლობაში ოჯახის რუსთავის საზღვრებში ცხოვრების ფაქტი. მატერიალური დახმარება გაიცემა 18 (თვრამეტი) წლამდე შვილების რაოდენობის გათვალისწინებით და მოიცავს თითო ბავშვზე ყოველთვიურად 35 ლარის ოდენობით დახმარებას. ბ) ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები (ასევე მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე) მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). ქვეპროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ იმ მრავლშვილიან ოჯახს, რომელსაც აქვს რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში აქტიური რეგისტრაციის სტატუსი და რუსთავის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ დასტურდება ბოლო 1 წლის განმავლობაში ოჯახის რუსთავის საზღვრებში ცხოვრების ფაქტი. აღნიშნული ოჯახები, მეოთხე და ყოველი მომდევნო შვილის შეძენისას მიიღებენ ერთჯერად მტერიალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		უზრუნველყოფილია მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება
06 02 09 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში არანაკლებ ორი წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) ომის ვეტერანებისთვის დახმარება განკუთვნილია 1000,00 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე მსოფლიო ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირებისთვის 500,00 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ყოველი წლის 9 მაისს. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ღვაწლისა და დამსახურების სათანადო აღიარება

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება
06 02 09 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების სოციალური გაძლიერება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/ მუდმივი ბინადრობის ნებართის მქონე ოჯახების: 1. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში, 2004 წლის აგვისტოს შიდა ქართლში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლების ოჯახებისათვის დახმარებას 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით. გათვალისწინებულია 10 (ათი) ოჯახის მატერიალური დახმარება. 2. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებისათვის (გარდა 2008 წელს და 2004 წელს მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული მებრძოლებისა) გათვალისწინებულია დახმარება 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი **06 02 10 01**	**ქვეპროგრამის დასახელება**	შშმ პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა (კომუნალურის დაფინანსება)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს შშმ პირთა სოციალური ხელშეწყობა კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია) სრული/ნაწილობრივი დაფარვით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირების დახმარებას, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ; ა) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (სტატუსით „უსინათლო“) პირები, განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა; ბ) 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებს და რომელთაც სტატუსი მიენიჭათ სამედიცინო ექსპერტიზის კომისიის მიერ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო; გ) დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 18 წლის შემდგომ, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 - ს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 500 ლარის ოდენობით ბუნებრივი აირის და ელექტრო ენერგიის გადასახადების ხელშეწყობას. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ხელშეწყობლია მუნიციპალიტეტში შშმ პირებთა კომუნალური გადასახადების სრული/ ნაწილობრივ დაფარვა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი **06 02 10 02**	**ქვეპროგრამის დასახელება**	მკვეთრად შშმ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებელი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ ტოტალურ (ნულოვანი მხედველობის) უსინათლოთა უზრუნველყოფა გამცილებლის მომსახურებით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უსინათლო პირების მომსახურებას (არაუმეტეს 75 ბენეფიციარი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). აღნიშნული პირები გამცილებლის მეშვეობით საჭიროებენ გადაადგილებას სამედიცინო და საყოფაცხოვრებო, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებში. გამცილებლის ანაზღაურება განისაზღვრება თვეში 800,00 ლარით. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	უზრუნველყოფილია ტოტალურად უსინათლო პირების გადაადგილება სხვადასხვა სერვისების მიღების მიზნით

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი **06 02 12**	**ქვეპროგრამის დასახელება**	სოციალური დახმარების პროგრამა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია სადღესასწაულო დღეებში ბენეფიციარების წახალისება. ქვეპროგრამის განხორციელების წესი განსაზღვრავს ქვეპროგრამით მოსარგებლე პირების სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა ნივთებით ან/და ტკბილეულით დასაჩუქრებას: (დედის დღე -3 მარტი; აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული; ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღე - 1 ივნისი; შობა- ახალი წელი). ბენეფიციარებს წარმოადგენენ: 1. მრავალშვილიანი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს). 2. დღის ცენტრები და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ბენეფიციარები. 3. ა(ა)იპ „რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი“-ს ბენეფიციარები. 4. ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო-განმავითარებელი ცენტრი კესანე“-ს ბენეფიციარები. 5. ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახები. 6. ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე, 2004 წლის აგვისტოს თვეში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული რუსთაველი მებრძოლების ოჯახები. 7. ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლების ოჯახები. 8. ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე, დიდი სამამულო ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირები.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების სადღესასწაულოდ წახალისება

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა
06 02 13		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა. ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან - 24 წლის ჩათვლით ახალგაზრდები, რომელთაც სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში გაატარეს არანაკლებ 2 წელი. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი. ფულადი დახმარება განისაზღვრება თითოეულ მოსარგებლეზე წელიწადში არაუმეტეს 2 000.00 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. დაფინანსება უზრუნველყოფს სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდის განათლების უფლების რეალიზებას, ახალგაზრდისთვის პროფესიის შესწავლას, ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენას ან ბინის ქირით უზრუნველყოფას. პროგრამაში განმცხადებელი პირის ჩართვის შესახებ რეკომენდაციას ამზადებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით შექმნილი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს დაფინანსების მიზანშეწონილობას და დასაფინანსებელი თანხის ოდენობას.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მხარდაჭერა პროფესიული და საყოფაცხოვრებო სირთულეების დაძლევაში

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა
06 02 14		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა. გამონაკლისი, საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ბოლო თვის მიხედვით ირიცხებიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში დევნილის სტატუსით. ქვეპროგრამის ამოცანაა დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მოქალაქეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევით (ყოველთვიურად 120,00 ლარის ოდენობით) სოციალური მხარდაჭერა. ქვეპროგრამით მოსარგებლე შეიძლება იყოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქე, რომელიც ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ), ჩართულია საქართველოს ნებისმიერ ქალაქში დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში და იმყოფება სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებაში აღრიცხვაზე.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციართა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა
06 02 15		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა, ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების სოციალური დახმარება და გაძლიერება, მათთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ქვეპროგრამით მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული/ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე, განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) მოქალაქეები. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება ასევე სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე, რომლებიც ფაქტობრივად ცხოვრობენ რუსთავში და ცხოვრების ფაქტი დასტურდება სხვადასხვა ოფიციალური წყაროთი. სოციალური დახმარების პროცესი მოიცავს, უკიდურესად მძიმე საბინაო პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გამოვლენას, შეფასებასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების ნივთების შეძენით. ქვეპროგრამით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ გადწყვეტილებას იღებს ქალაქ რუსავის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი აქტით შექმნილი სათათბირო-საკონსულტაციო საბჭო. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		გაუმჯობესებულია სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების ცხოვრების პირობები და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში ცხოვრების უპირატესი უფლების რეალიზების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა
06 02 16		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა სოციალიზაციის პროცესში. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის“ განხორციელების წესი განსაზღვრავს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების მატერიალურ დახმარების წესსა და პირობებს. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი. ქვეპროგრამის ამოცანაა ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარება. დაფინანსება გაიცემა ძალადობის მსხვერპლ პირზე ერთჯერადად, წელიწადში 1000.00 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	ხელშეწყობილია ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების სოციალიზაციის პროცესში მატერიალური დახმარება

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	შინ მოვლის თანადაფინანსება
06 02 17		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია "უძლურების შეფასების ბართელის კითხვარი“-თ მინიჭებული უძლურების სტატუსის მქონე მოქალაქეების თანადგომა. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ, „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარი“-ს (შემდგომში - ბართელის ინდექსი) მიხედვით მინიჭებული ქულის მქონე პირები (ქულა არ აღემატება 95 ერთეულს), რომლებიც არიან მწოლიარენი ან/და საჭიროებენ სამედიცინო/სოციალურ დახმარებას საცხოვრებელ ადგილზე. ქვეპროგრამაში ჩართვა ამ წესით დადგენილი პირობებით შეუძლიათ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ სრულწლოვან მოქალაქეებს (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვან პირებს, რომლებიც ცხოვრობენ და რეგისტრირებულნი არიან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განცხადებით მომართვამდე უწყვეტად, არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ), ასევე მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება წლიური ღირებულების შესაბამისად, თვეში 1/12 პრინციპით, შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ა) I კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 660 ლარი; ბ) II კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 540 ლარი: გ) III კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 360 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 100 ბენეფიციარი. რეკომენდირებული ვიზიტების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით: ა) I კატეგორიის მოსარგებლისათვის თვეში 13 ვიზიტი; ბ) II კატეგორიის მოსარგებლისათვის თვეში 8 ვიზიტი; გ) III კატეგორიის მოსარგებლისათვის თვეში 4 ვიზიტი. გამონაკლისი ვიზიტების რაოდენობასთან დაკავშირებით ვრცელდება, პროგრამის განმახორციელებლისა და მომსახურების მიმწოდებლის ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, მისი მდგომარეობის შეფასებით.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ხელშეწობილია უძლურების სტატუსის მქონე ბემეფიციარების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და სხვადასხვა სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურება
06 02 18		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანს წამოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა (3 წლიდან 18 წლამდე) შშმ ბავშვების კურორტული დასვენების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მათი ინკლუზიური გაძლიერების, საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. პროგრამით მოსარგებლის საქართველოს კურორტებზე მომსახურების ხარჯების (არანაკლებ 6 დღისა) დაფინანსება განისაზღვრება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში 1000.00 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. ასევე, გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		შშმ ბავშვისთვის კურორტული დასვენების ხელმისაწვდომობის გაზრდით მისი ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ჩვილ ბავშვთა დახმარების პროგრამა
06 02 19		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ,,ბავშვის უფლებათა კოდექსით" განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომელიც მოიცავს სოციალურად დაუცველი ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მატერიალური დახმარებას ხელოვნური კვების, ჰიგიენური ნივთების და სხვა პირველადი მოვლის საშუალებების შესაძენად. პროგრამით მოსარგებლეები არიან: ა) 1 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულაა 65 000 - დან 150 001-მდეა,ყოველთვიურად მიიღებს 100 ლარის დაფინანსებას ბავშვთა ხელოვნური საკვების შესაძენად. ბ) 1 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 150 001 - მდეა, ერთჯერადად მიიღებს 400 ლარის დაფინანსებას ჰიგიენური ნივთების და სხვა პირველადი მოვლის საშუალებების შესაძენად. გ) სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე იდენტიფიცირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი 2 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახი კვების, ჰიგიენური ნივთებისა და სხვა პირველადი მოვლის საშუალებების დაფინანსებას მიიღებს იმ რაოდენობით და მოცულობით ,რომელიც ემსახურება კრიზისის აღმოფხვრას. დ) მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვი ყოველთვიურად მიიღებს 200.00 (ორასი) ლარის დაფინანსებას ხელოვნური საკვებისათვის, ხოლო ჰიგიენური ნივთებისა და სხვა პირველადი მოვლის საშუალებებისათვის 400.00 (ოთხასი) ლარის დახმარებას საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად. საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამონაკლისს წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი. ასევე, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	პროგრამით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფებისათვის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, მოვლის და ჰიგიენის საშუალებების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვის ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება ,კრიზისის შემცირება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სოციალური უზრუნველყოფა
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა
06 02 20		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით; პერსონალური ასისტენტის სერვისი მიმართულია ხელი შეუწყოს მომსახურების მიმღებ პირს, საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში. ამ მიზნით, პერსონალური ასისტენტის სერვისი მომსახურების მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით შეიძლება მოიცავდეს კვების, საკუთარი თავის მოვლის, ჩაცმის, სახლის საქმის, საყიდლებზე სიარულის, მობილობისა და კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების მომსახურების მიღებაში, ასევე მუშაობისა და დასვენების, დღის დაგეგმვის ან/და სხვა მსგავს აქტივობებში დახმარებას. პროგრამით დადგენილი მომსახურების მიმღები პირია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების კითხვარის ერთ დადებით შეფასებაზე დაფინანსებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 25,00 ლარს. შეფასების საფუძველზე განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი. მომსახურების მიმღები პირისთვის მისი სურვილისა და საჭიროების გათვალისწინებით პერსონალური ასისტენტის მომსახურება დაფინანსდება: ა) რეგულარული ასისტირებისთვის - არაუმეტეს თვეში 60 საათი; ბ) სპეციალიზებული ასისტირებისთვის - არაუმეტეს თვეში 120 საათი. რეგულარული ასისტირებისთვის დაფინანსების ოდენობა (ტარიფი) არის საათში 12,00 ლარი, ხოლო სპეციალიზებული ასისტირებისთვის - საათში 13,00 ლარი. პერსონალური ასისტენტის მომსახურების დაფინანსება ხორციელდება სააგენტოში მიმართვის წერილის საფუძველზე. დაფინანსება მოიცავს სამედიცინო დაწესებულების მიერ მომსახურების მაძიებლის შეფასების, პერსონალური ასისტენტის სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს და პროგრამის ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	უზრუნველყოფილა პროგრამის ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტცმენებისა და ხელოვანების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა. ქალაქში ფუნქციონირებს სპორტის სასახლე, რომელშიც მოქმედებს სხვადასხვა სახეობების სპორტული წრეები, აღნიშნული წრეებით სარგებლობენ: მოკრივეები, მოჭიდავეები, კალათბურთელები, მინი ფეხბურთის მოყვარულები და სხვადასხვა სახეობის ორთაბრძოლის სპორტცმენები, ასევე ქალაქში ფუნქციონირებს სრულად მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული კულტურის სახლი და ახალგაზრდობის სასახლე.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	24 787,6	28 787,6	28 454,6	20 787,6
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	6 802,9	6 802,9	6 802,9	6 802,9
05 01 04	სპორტის განვითარების ცენტრის ხელშეწყობა	6 802,9	6 802,9	6 802,9	6 802,9

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	15 836,7	19 836,7	19 503,7	11 836,7
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	11 826,7	11 826,7	11 826,7	11 826,7
05 02 01 01	კულტურული პროექტების მართვის ცენტრის ხელშეწყობა	7 545,2	7 545,2	7 545,2	7 545,2
05 02 01 02	თეატრის ხელშეწყობა	2 172,9	2 172,9	2 172,9	2 172,9
05 02 01 03	მუზეუმის ხელშეწყობა	1 035,5	1 035,5	1 035,5	1 035,5
05 02 01 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	1 073,1	1 073,1	1 073,1	1 073,1
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	4 000,0	8 000,0	7 667,0	0,0
05 02 04	რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	10,0	10,0	10,0	10,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2 148,0	2 148,0	2 148,0	2 148,0
05 03 02	ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელშეწყობა	2 148,0	2 148,0	2 148,0	2 148,0

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		სპორტის სფეროს განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	სპორტის განვითარების ცენტრის ხელშეწყობა
05 01 04		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ '' ქალაქ რუსთავის სპორტის განვითარების ცენტრი''
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია სპორტის პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და ახალგაზრდებში სპორტისადმი ინტერესის ზრდა. პროგრამა უზრუნველყოფს სპორტული სექციების განვითარებას, ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართულობის ზრდას. აქტივობები მოიცავს რეგულარული ვარჯიშების ორგანიზებას და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. ქალაქში ფუნქციონირებს ახალი სპორტის სასახლე, რომელშიც მოქმედებს სხვადასხვა სახეობის სპორტული წრეები, აღნიშნული წრეებით სარგებლობენ: მოკრივეები, მოჭიდავეები, კალათბურთელები, მინი ფეხბურთის მოყვარულები და სხვადასხვა სახეობის ორთაბრძოლის სპორტცმენები.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ჯანსაღი თაობა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		კულტურის სფეროს განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	კულტურული პროექტების მართვის ცენტრის ხელშეწყობა
05 02 01 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,კულტურული პროექტების მართვის ცენტრი''

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სახელოვნებო განათლების მისაღებად თანაბარი ხელმისაწვდომობა მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით. სხვადასხვა კულტურული აქტივობების, კულტურული მემკვიდრეობის, თანამედროვე ვოკალური ანსამბლებისა და ინსტრუმენტალური ჯგუფების, ინდივიდუალური შემსრულებლების და დამწყები ხელოვანების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში იმართება როგორც გეგმიური ისე არაგეგმიური კულტურული ღონისძიებები, მასშტაბური ფესტივალები, ფუნქციონირებს ოთხი სამუსიკო სკოლა, ერთი სამხატვრო სკოლა და ხელოვნების გალერეა. ფუნქციონირებს ახლად რეაბილიტირებული შენობა - „არტ პავილიონი", რომელიც მოიცავს მულტიფუნქციურ საკონცერტო დარბაზს და სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფებისთვის სარეპეტიციო და საკონცერტო სივრცეს. მუსიკალურ ლაბორატორიას - ხმის ჩამწერ სტუდიას.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი	ხელოვნება გახდება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, გაიზრდება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		კულტურის სფეროს განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	თეატრის ხელშეწყობა
05 02 01 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ "გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული მუნიციპალური დრამატული თეატრი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის მოსახლეობის კულტურული ცხოვრების გაუმჯობესება. ქვეპროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა ქალაქ რუსთავის თეატრის მოწინავე პოზიციონირება, როგორც ერთ-ერთი საინტერესო, მაღალპროფესიული და ნოვატორული თეატრის, გრძელვადიანი სტაბილური სარეპერტუარო პოლიტიკის შენარჩუნება. დამატებით მაყურებლის მოზიდვა და ახალ სეგმენტზე მუშაობა.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ქალაქის კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის ყველა სეგმენტის ჩართვა ხელოვნებაში

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		კულტურის სფეროს განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	მუზეუმის ხელშეწყობა
05 02 01 03		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,რუსთავის ისტორიული მუზეუმი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მოახდინოს ქ.რუსთავში კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, რუსთავის ციხე-სიმაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე პერიოდულად მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევა ახალი არტეფაქტების აღმოჩენის მიზნით. რუსთავის ციხე-სიმაგრის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს რუსთავის პოპულარიზაციას როგორც უძველესი ქალაქის სტატუსის მატარებელი და გამოიწვევს ტურისტული სეგმენტის დაინტერესებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამუზეუმო საქმისა და ქალაქის ისტორიის , სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება და გამოცემა. რუსთავის ციხე-სიმაგრისა და ნაქალაქარის მოვლა და არქეოლოგიური კვლევა. არქეოლოგიის პროგრამა; რუსთავის ციხე-ქალაქისა და ციტადელის მოვლა, დასუფთავება, არქეოლოგიური გათხრების წარმოება, კვლევითი სამუშაოების წარმართვა. გამოფენებისა და ვიზიტორების მართვის პროცესი. არაფორმალური განათლების გავრცელება სკოლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობასა და საზოგადოებაში.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		დაცული, მოვლილი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა; გაზრდილი ვიზიტორები და ეკონომიური სარგებელი, ქალაქის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		კულტურის სფეროს განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა
05 02 01 04		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ "რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის განათლების და წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წიგნადი ფონდების შევსება/დაკომპლექტება. კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფორმაციულ ღონისძიებებში, საკლუბო შეხვედრებში, შემეცნებით გასართობ პროგრამებში, გამოფენებში და ლიტ.კონკურსებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამერიკული კუთხის და ინგლისური ენის პროპაგანდა, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრების ორგანიზება, ღირშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოების ჩატარება, ბიბლიოთეკის კვირეულის და კონფერენციების მოწყობა, საშობაო-საახალწლო ღონისძიების ორგანიზება. ახალგაზრდებში განსაკუთრებით მოთხოვნადია მედიათეკა მრავალმხრივი მიმართულებებით, მულტიმედიური განყოფილებით, საპრეზენტაციო, საგამოფენო და კულტურული აქტივობების დარბაზების მომსახურებით. მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენება. ლიტერატურული არტ კლუბის და 60+ კლუბის ბენეფიციარებისთვის სერვისების პაკეტების მიწოდება.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		ქალაქის მოსახლეობის შემეცნებითი და წიგნიერების დონის ამაღლება ქალაქის მოსახლეობის შემეცნებითი და წიგნიერების დონის ამაღლება

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		კულტურის სფეროს განვითარება
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა
05 02 03		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია - შეიქმნას კომფორტული და მიმზიდველი გარემო მომავალი თაობისათვის არაფორმალური განათლების მისაღებად, ასევე პროექტის განხორციელებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება ქალაქის კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების კუთხით. 1) ქალაქ რუსთავში სახელოვნებო ცენტრის მშენებლობა; 2) და სხვა..
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		შექმნილი მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა ხელოვნებით დაინტერესებულ პირთათვის.

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ახალგაზრდობის მხარდაჭერა
პროგ. კოდი **05 03 02**	**ქვეპროგრამის დასახელება**	ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებაში და შეუფერხებლად ისარგებლონ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებული წრეების მომსახურებით. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებული სექციები, ამასთან ერთად ქვეპროგრამის ფარგლებში ცენტრი აფინანსებს ან თანადაფინანსებას უწევს ახალგაზრდულ ღონისძიებებს და პროექტებს. ახალგაზრდობის ცენტრი ატარებს კონკურსებს და აწყობს ახალგაზრდულ ბანაკებს.
მოსალოდნელი შუალედური (OUTPUT) შედეგი		გაზრდილი ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან პროექტებსა და ღონიძიებებში.

5. დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად არის სამრეწველო ობიექტები, აქედან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას იძენს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. მწვანე საფარის ინტენსიური ზრდა და არსებულის მოვლა-პატრონობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქის განვითარებისათვის, ამასთან ერთად უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის ყოველწლიური გაუმჯობესება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს.

პროგრამ. კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა**	**2027 წლის პროექტი**	**2028 წლის პროგნოზი**	**2029 წლის პროგნოზი**	**2030 წლის პროგნოზი**
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	18 054,6	18 054,6	18 054,6	18 054,6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	9 303,8	9 303,8	9 303,8	9 303,8
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	6 579,5	6 579,5	6 579,5	6 579,5
03 03	ცხოველთა მონიტორინგი	919,8	919,8	919,8	919,8
03 04	რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა	1 251,5	1 251,5	1 251,5	1 251,5

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		დასუფთავება და გარემოს დაცვა
პროგ. კოდი	**პროგრამის დასახელება**	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
03 01		
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრი"
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის მიზანია სრულად მოწესრიგებული და დასუფთავებული ქალაქი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის ტერიტორიის ყოველდღიური დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ხორციელდება არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების მოვლა-პატრონობა და ახალი ნარჩენების კონტეინერების შეძენა. ასევე პერიოდულად ხდება ნარჩენების გატანის უზრუნველსაყოფად სპეციალური მანქანების პარკის განახლება.
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი		მოწესრიგებული სუფთა ქალაქი

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		დასუფთავება და გარემოს დაცვა
პროგ. კოდი	**პროგრამის დასახელება**	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება
03 02		
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრი"
პროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია ქალაქში არსებული მწვანე ნარგავების და მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ყოველდღიურად მწვანე ნარგავების და საფარის მოვლის საჭირო ოპერაციები. პერიოდულად მიმდინარეობს ხეების და ყვავილების დარგვა, ბალახის დათესვა, გათიბვა, ხეების შეთეთრება და მოჭრა-გადაბელვა. ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპეციალური მანქანა-დანადგარების შეძენა.
მოსალოდნელი საბოლოო (OUTCOME) შედეგი		მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებული ეკოლოგიური გარემო და მოწესრიგებული-მოვლილი მცენარეული საფარი

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		ცხოველთა მონიტორინგი
პროგ. კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	ცხოველთა მონიტორინგის ცენტრის ხელშეწყობა
03 03 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ,,ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი"
